უფასო

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

წელიწადი მეშვიდე

№ 4 | Сборник приказов и распоряжений НКПроса Груз. ССР | 1944 წ.

## შინაარსი

1. **ბრძანება** — დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში 1944 წელს წლიური შემოწმებითი გამოცდების ჩატარებისა და 1943—44 სასწავლო წლის დამთავრების შესახებ . . . . . . . . . 3

2. **ინსტრუქცია**—სკოლებში შემოწმებითი გამოცდების ჩატარების შესახებ . . . . . . . . 5

3. **ინსტრუქცია**—კურსდამთავრებულთა მოწმობა-ატესტატების, გადასაყვანი მოწმობებისა და ქების სიგელების დაბეჭდვის, შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების შესახებ . . . . . . 17

თბილისი—1944 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 858

განათლების სახალხო კომისარიატისადმი
1944 წ. 20 აპრილი

## დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში 1944 წელს წლიური შემოწმებითი გამოცდების ჩატარებისა და 1943 — 44 სასწავლო წლის დამთავრების შესახებ

ვბრძანებ:

§ 1. საქართველოს სსრ ყველა დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების I, II და III კლასებში მეცადინეობა დასრულდეს 20 მაისს. ამ რიცხვისათვის შეჯამდეს მთელი მუშაობა და უზრუნველყოფილი იქნეს კლასიდან კლასში გადასაყვანი მოწმობების გაცემა.

§ 2. ყველა დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების IV—X კლასებში მეცადინეობა დამთავრდეს 18 მაისს. შემოწმებითი გამოცდები ჩატარდეს:

ა) ქართულ და რუსულ სკოლების IV კლასებში 20 მაისიდან 27 მაისამდე (ჩათვლით), არაქართულ (სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ) სკოლებში — 20 მაისიდან 29 მაისამდე (ჩათვლით);

ბ) ქართული და რუსული სკოლების V, VI კლასებში 20 მაისიდან 1 ივნისამდე (ჩათვლით), არაქართულ სკოლებში — 20 მაისიდან 2 ივნისამდე (ჩათვლით);

გ) ქართული და რუსული სკოლების VII, VIII, IX კლასებში 20 მაისიდან 4 ივნისამდე (ჩათვლით), არაქართულ სკოლებში — 20 მაისიდან 6 ივნისამდე (ჩათვლით);

დ) ყველა სკოლის X კლასებში — 20 მაისიდან 10 ივნისამდე (ჩათვლით).

ამავე რიცხვებისათვის ცალკე კლასებში შეჯამდეს ჩატარებული მუშაობა და მოსწავლეებს მიეცეთ კლასიდან კლასში გადაყვანისა და კურსის დასრულების მოწმობები და ატესტატები..

§ 3. ყველა სკოლის პედსაბჭოს სხდომაზე განხილული იქნეს წლის განმავლობაში ჩატარებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგები. გამომჟღავნდეს ცალკე კლასების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების სხვა მუშაკების მიღწევა და ნაკლი და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი მომავალ სასწავლო წელში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

§4. 11—15 ივნისის რიცხვებში მშობელთა კრებაზე, ცალკე კლასების მიხედვით, მოსმენილ იქნეს კლასის ხელმძღვანელთა ინფორმაცია სასწავლო წლის შედეგების შესახებ, ხოლო სკოლის დირექტორებმა და გამგეებმა 11—15 ივნისის რიცხვებში, ამავე საკითხზე საანგარიშო მოხსენება გააკეთონ მასწავლებლების, მშობლებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საერთო კრებაზე.

§ 5. რაიონებსა და ქალაქებში 15—20 ივნისის რიცხვებში ჩატარდეს სკოლების, დირექტორების (გამგეების) და მასწავლებელთა სარაიონო (საქალაქო) ერთდღიანი თათბირი, რომელზედაც შეჯამებულ იქნეს სასწავლო წლის შედეგები, გამოვლინებული იქნეს მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის საუკეთესო ნიმუშები და დაისახოს მომავალ სასწავლო წელში მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

§ 6. განათლების განყოფილებათა გამგეებმა სასწავლო წლის შედეგები შეაჯამონ დაწესებული ფორმით და საანგარიშო მოხსენება წერილობით წარმოადგინონ განსახკომში არა უგვიანეს 25 ივნისისა. საანგარიშო მოხსენებაში მოცემული იქნეს მოსწავლეთა წესების შესრულების მიმდინარეობისა და მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის დახასიათება.

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისრის მოადგილე — მ. ბურჭულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ:
საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისრის
მოადგილე მ. ბურჭულაძე
1944 წლის 20 აპრილი

# ინსტრუქცია

## სკოლებში შემოწმებითი გამოცდების ჩატარების შესახებ.

## 1. შემოწმებითი გამოცდების ორგანიზაცია და მისი ჩატარების წესი.

§ 1. შემოწმებით გამოცდებს აბარებს ყველა მოსწავლე კლასიდან კლასში გადასვლისა, ან სკოლის დამთავრებისას, გარდა დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების I, II და III კლ. მოსწავლეებისა.

შენიშვნა: ა) I, II, III კლასების მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა, ან იმავე კლასში დატოვება ხდება მათი ცოდნის მეოთხე მეოთხედის შეფასების (ნიშნების) საფუძველზე.

ბ) I და II კლასების იმ მოსწავლეებს, რომელთაც ერთ ძირითად საგანში, ხოლო III კლასებისას — ერთ ან ორ ძირითად საგანში აქვთ შეფასება (ნიშანი) „2“ ან „1“, უნდა მიეცეთ საზაფხულო დავალებანი, რომელთა შესრულების შემოწმება უნდა მოეწყოს საშემოდგომო გამოცდების პერიოდში.

ის მოსწავლენი, რომელთაც I და II კლასებში ექნებათ ერთზე მეტი, ხოლო III კლასებში ორზე მეტი ნიშანი „2“ ან „1“ ძირითად საგნებში, დატოვებული იქნებიან იმავე კლასებში.

§ 2. მეოთხე მეოთხედის დასრულებისას, სასწავლო წლის მე-4 მეოთხედში მიღებულ შეფასებათა (ნიშნების) საფუძველზე პედაგოგიური საბჭო იხილავს საკითხს საგაზაფხულო შემოწმებით გამოცდებზე მოსწავლეთა დაშვების შესახებ. ის მოსწავლენი, რომელთაც ძირითად საგნებში სამზე მეტი „2“ ან „1“ შეფასება (ნიშანი) აქვთ, შემოწმებით გამოცდებზე არ დაიშვებიან და დატოვებული იქნებიან იმავე კლასებში.

**შენიშვნა:** ა) იმ მოსწავლეებს, რომელთა ჩამორჩენილობა გამოწვეული იყო ავადმყოფობით ან სხვა საპატიო მიზეზით (მაგ. მშობლების საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა და სხვ.), გამოცდები, პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით, გადაეტანებათ შემოდგომისათვის.

ბ) არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრია ითვლება ცალ-ცალკე საგნებად.

გ) თუ მოსწავლეს მშობლიურ ენაში, რუსულ ენასა (არარუსულ სკოლებში) და ქართულ ენაში (არაქართულ სკოლებში) როგორც ზეპირში, ასევე წერაშიაც აქვს ნიშანი „2“ ან „1“, გამოცდებზე დაშვებისას ორივე ნიშანი ითვლება ერთ შეფასებად (ნიშნად) თითოეულ ენაში.

§ 3. განსაკუთრებით სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეები, რომელთაც ამის შესახებ გააჩნიათ სასკოლო ექიმის მოწმობა ან სათანადო სამკურნალო დაწესებულების დასკვნა, შესაძლებელია, სკოლის დირექტორის ბრძანებით, გადაყვანილ იქნან შემდეგ კლასში უგამოცდოდ, თუ მათ წლის განმავლობაში ძირითად საგნებში ჰქონდათ შეფასება (ნიშანი) არანაკლებ „3“.

§ 4. დაწყებითი სკოლის გამოსაშვები IV კლასის, არასრული საშუალო სკოლის VII კლასისა და საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეთათვის, იმ შემთხვევაში, თუ ისინი საგაზაფხულო გამოცდების დროს ავადმყოფობენ, გამოცდები, სკოლის პედსაბჭოს დადგენილებით შეიძლება გადატანილ იქნას შემოდგომისათვის; ცალკე შემთხვევაში, შესაძლებელია, ამ მოსწავლეების გამოცდებისაგან სრულიად განთავისუფლება, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგის ნებართვით, თუ მათ წლის განმავლობაში ჰქონდათ წარმატება არანაკლებ „4“. სათანადო მოწმობა ან ატესტატი მათ მიეცემათ წლიური შეფასების (ნიშნების) მიხედვით.

§ 5. მოსწავლეები, რომელთაც აქვთ ნიშანი „2“ ან „1“ არასაგამოცდო საგნებში, შემოწმებული უნდა იქნას დამატებით ამ საგანშიაც.

§ 6. გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

IV კლასებში — მშობლიურ ენაში (ზეპირი და წერა), რუსულ ენაში (ზეპირი და წერა), არითმეთიკაში (ზეპირი და წერა) და გეოგრაფიაში; სულ შვიდი გამოცდა, აქედან ოთხი ზეპირი და სამი წერა.

V კლასებში — მშობლიურ ენაში (ზეპირი და წერა), რუსულ ენაში (ზეპირი და წერა), არითმეტიკაში (ზეპირი და წერა), გეოგრაფიაში და დაწყებით სამხედრო მომზადებაში; სულ რვა გამოცდა, აქედან ხუთი ზეპირი და სამი წერა.

VI კლასებში — მშობლიურ ენაში (ზეპირი და წერა), რუსულ ენაში (ზეპირი და წერა), ალგებრაში (ზეპირი), ბიოლოგიაში (ბოტანიკაში),

გეოგრაფიაში და დაწყებით სამხედრო მომზადებაში; სულ რვა გამოცდა, აქედან ექვსი ზეპირი და ორი წერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII კლასებში — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), რუსულ ენაში (ზეპირი და წერა), ალგებრაში (წერა), გეომეტრიაში (ზეპირი), გეოგრაფიაში, სსრკ-ს კონსტიტუციაში, ფიზიკაში, ზოოლოგიაში და დაწყებით სამხედრო მომზადებაში; სულ თერთმეტი გამოცდა, აქედან რვა ზეპირი და სამი წერა.

VIII კლასებში — მშობლიურ ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ალგებრაში (ზეპირი), გეომეტრიაში (ზეპირი), ადამიანის ანატომიაში და ფიზოლოგიაში, ფიზიკაში, უცხო ენაში და წვევამდე სამხედრო მომზადებაში; სულ თერთმეტი გამოცდა, აქედან ცხრა ზეპირი და ორი წერა.

IX კლასებში — მშობლიურ ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ალგებრაში (ზეპირი), ტრიგონომეტრიაში (ზეპირი), ფიზიკაში, ქიმიაში, გეოგრაფიაში, უცხო ენაში და წვევამდე სამხედრო მომზადებაში; სულ თერთმეტი გამოცდა, აქედან ცხრა ზეპირი და ორი წერა.

X კლასებში — მშობლიურ ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), ალგებრაში (ზეპირი და წერა), გეომეტრიაში (ზეპირი), ტრიგონომეტრიაში (ზეპირი), ფიზიკაში, ქიმიაში, სსრკ-ს ისტორიაში; უცხო ენაში და წვევამდე სამხედრო მომზადებაში; სულ ცამეტი გამოცდა, აქედან 10 ზეპირი და 3 წერა.

§ 7. ცოდნის შემოწმება გამოცდებზე სწარმოებს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ მოცემული კლასისათვის დადგენილი საპროგრამო მასალის მოცულობით.

**შენიშვნა:** წერითი გამოცდები ლიტერატურაში მე-8, მე-9 და მე-10 კლასებში ერთდროულად მაჩვენებელია მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევებისა გრამატიკაშიც. თხზულება, რომელიც არადამაკმაყოფილებელი იქნება ენობრივად, არ შეიძლება შეფასებული იქნას ნიშანი „3“-ით.

§ 8. იმ სკოლების დირექტორები (გამგეები), სადაც რომელიმე საგანში ადგილი აქვს ჩამორჩენას განსახკომის მიერ დადგენილი პროგრამიდან, ვალდებულნი არიან ამის შესახებ აცნობონ რაიონის ან ქალაქის განათლების განყოფილებას.

ამ ცნობათა მიხედვით, განათლების განყოფილებათა გამგეები პირადად არიან ვალდებული დაწვრილებით შეისწავლონ ჩამორჩენის მიზეზები და სკოლის დირექტორთან ერთად, მიიღონ აუცილებელი ზომები სკოლის მიერ სასწავლო პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად.

იმ შემთხვევაში, როცა კლასის მიერ, მაუხედავად მიღებული ზომებისა, სასწავლო პროგრამა შეუსრულებელი დარჩება, თუ ეს ჩამორჩენა დიდი არ არის, განათლების განყოფილებას უფლება აქვს ნება დართოს სკოლას გამოცდები ჩაატაროს წლის ბოლოსათვის პროგრამიდან ფაქტიურად გავლილი მასალის მიხედვით. სასწავლო მეცადინეობის დასრულების და გამოცდების ჩატარების საკითხს იმ შემთხვევაში, როცა სხვადასხვა მიზეზების გამო სკოლაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცდებოდა მეცადინეობა, სწყვეტს განსახკომი.

§ 9. არავითარი განსაკუთრებული პროგრამები გამოცდებისათვის არ დგება.

განმეორებისას და გამოცდებისათვის მზადებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს სახელმწიფო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით.

ეს პროგრამები უნდა გაეცნოს და განემარტოს მოსწავლეებს იმ მასალის მითითებით, რომელიც უნდა განიმეორონ მათ სახელმძღვანელოდან გამოცდებისათვის მზადებისას.

§ 10. ზეპირი გამოცდები ყველა კლასში სწარმოებს ბილეთების მიხედვით.

ბილეთებს გამოცდებისათვის ადგენს სათანადო საგნის მასწავლებელი. ბილეთები უნდა იყოს თანაბარი სიძნელის, თითეული ბილეთი შედგება სასწავლო პროგრამის სხვადასხვა განყოფილებიდან, აღებული ორი-სამი ნათელი, მოსწავლისათვის გასაგები და გარკვევით დაწერილი საკითხისაგან.

ბილეთების რაოდენობა თითოეულ საგანში არ უნდა აღემატებოდეს 25—30 ს. ამ 25—30 ბილეთში მოცემული საკითხები მთლიანად უნდა ამოწურავდეს სასწავლო პროგრამას.

**შენიშვნა:** ა) მე–7 კლასების სასწავლო დისციპლინების საგამოცდო ბილეთებში უნდა იქნეს შეტანილი ძირითადი საკითხები მე–5 და მე–6 კლასების პროგრამებიდან, ხოლო მე–10 კლასების საგამოცდო ბილეთებში მე–8 და მე–9 კლასების პროგრამებიდან.

ბ). საქართველოს ისტორიაში ცალკე გამოცდა არ ჩატარდება. ისტორიის საგამოცდო ბილეთებში, მეათე კლასში, უნდა იქნას შეტანილი ერთი ძირითადი საკითხი.

ბილეთს აიღებს პირადად მოსწავლე, როცა მას გამოცდისათვის გამოიძახებენ. თუ მოსწავლეს არ შეუძლია უპასუხოს საკითხებზე, რომლებიც მოცემულია ბილეთში, მას ნება ეძლევა აიღოს მეორე ბილეთი.

იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეს უძნელდება პასუხის გაცემა მეო-

რე ბილეთში დასმულ კითხვებზე, მასწავლებლისა და ასისტენტის მხრით მოსწავლეს დამატებითი კითხვები არ მიეცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილეთი, რომლის მიხედვითაც მოსწავლემ უკვე გასცა პასუხი, კლასის ამ ჯგუფში მეორეჯერ არ გამოიყენება.

**შენიშვნა:** საგამოცდო ბილეთებს ამტკიცებს სკოლის დირექტორი (გამგე) გამოცდებამდე ათი დღით ადრე და ინახება სკოლის დირექტორთან (გამგესთან).

§ 11. წერითი სამუშაო მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მიეცემა: მე-4 კლასს — გავლილი მასალის ფარგლებში მოკლე შინაარსის გადმოცემა.

მე-5—6 კლასებში — გავლილი ლიტერატურული მასალის შინაარსის გადმოცემა; მე-7 კლასში გავლილი ნაწარმოების მიხედვით მოქმედი პირების დახასიათება.

მე-8—9 კლასებში — მწერლის შემოქმედების დახასიათება ან ცალკე ნაწარმოების გარჩევა.

მე-10 კლასებში — ლიტერატურული თემა გავლილი მასალის ფარგლებში.

**შენიშვნა:** ა) თხზულებისათვის კლასს ეძლევა ორი თემა. მოსწავლეს უფლება აქვს აირჩიოს ერთი მათგანი.

ბ) რუსულ ენაში წერითი სამუშაოდ მიეცემა:

IV—VI კლასებში პასუხი კითხვებზე გავლილი მასალიდან.

მე-7 კლასს — კარნახი გავლილი მასალიდან (მოცულობით არა უმეტეს 75—80 სიტყვისა).

მე-8, 9 და 10 კლასებს — გავლილი მასალიდან პატარა მოთხრობის შინაარსის გადმოცემა (მასწავლებლის მიერ მოთხრობის წინასწარი წაკითხვით კლასში).

§ 12. წერითი საგამოცდო სამუშაო მათემატიკაში უნდა შედგებოდეს:

მე-4—5 კლასებში—ერთი ამოცანისა და ორი მაგალითისაგან არითმეტიკაში.

მე-7 — კლასებში — ერთი ამოცანისა და ორი მაგალითისაგან ალგებრაში.

მე-10 კლასში — ერთი ამოცანისა და ორი მაგალითისაგან ალგებრაში. ამოცანები და მაგალითები მოსწავლეებს უნდა მიეცეს ორი თანაბარი სიძნელის ვარიანტით.

§ 13. კარნახის ტექსტი, თხზულების თემები ლიტერატურაში, ამოცანები და მაგალითები მათემატიკაში, ყველა კლასის მოსწავლეთათ-

ცის, გარდა მე-10 კლასისა, მზადდება თვით სკოლაში თითოეული სასწავლო დისციპლინისა და კლასის მიხედვით მასწავლებლების მიერ და მტკიცდება სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ.

§ 14. თხზულების საგამოცდო თემა მშობლიურ ლიტერატურაში, ამოცანები და მაგალითები მათემატიკაში მე-10 კლასის მოსწავლეთათვის მუშავდება: აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების სკოლებისათვის — სათანადო განსახკომების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისისათვის — სათანადო განათლების განყოფილებების მიერ, ხოლო საქართველოს სსრ დანარჩენი ქალაქებისა და რაიონების სკოლებისათვის კი — საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს მიერ.

თემებს პირადად ამტკიცებენ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისრები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგეები და წერითი გამოცდის დღეს, გამოცდებზე მიმაგრებულ წარმომადგენელთა საშუალებით აბარებენ სკოლებს. სკოლის დირექტორები გამოცდის დაწყებისწინ ხსნიან დალუქულ პაკეტებს და საგამოცდო საგნის მასწავლებელს აცნობენ მოცემულ თემებს, ამოცანებსა და მაგალითებს. დალუქული პაკეტების გახსნისას დგება აქტი.

**შენიშვნა:** საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა სკოლის მე-10 კლასებში მშობლიურ ლიტერატურაში წერითი გამოცდა უნდა ჩატარდეს 20 მაისს, ალგებრაში — 23 მაისს, ხოლო რუსულ ენასა და ლიტერატურაში — 25 მაისს. წერითი გამოცდების ეს დღეები მტკიცედ არის განსაზღვრული და მათი შეცვლა არ დაიშვება. წერითი გამოცდები ყველგან უნდა ჩატარდეს დილის 8 საათიდან (სამივე წყებისათვის), ხოლო მოზრდილთა და მოზარდთა სკოლაში — საღამოს 7 საათიდან.

§ 15. ყველა წერითი სამუშაო სრულდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ წინასწარ დამზადებული ქაღალდის ფურცლებზე, რომლებზედაც დასმულია სათანადო სკოლის შტამპი, დირექტორისა და განათლების განყოფილების წარმომადგენლის ხელის მოწერით.

§ 16. იმ სასწავლო დისციპლინებში, რომლებშიაც დადგენილია წერითი და ზეპირი გამოცდა, პირველ რიგში ტარდება წერითი გამოცდები. წერითი ნამუშევრები აუცილებლად უნდა შემოწმდეს და შეფასდეს მასწავლებლის და ასისტენტის მიერ მოცემულ საგანში ზეპირი გამოცდების დაწყებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. შემოწმებითი გამოცდები სკოლაში ტარდება სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ დამტკიცებული ცხრილის მიხედვით.

გამოცდების ცხრილი უნდა გამოიკრას სკოლაში 10 დღით ადრე, შემოწმებითი გამოცდების დაწყებამდე.

§ 18. ცხრილის შედგენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებანი:

ა) შემოწმებითი გამოცდები საქართველოს სსრ ყველა სკოლაში იწყება 20 მაისს.

ბ) თითოეულ კლასში დღეში უნდა ჩატარდეს მხოლოდ ერთი გამოცდა, წერითი ან ზეპირი; არარუსულ სკოლის მე-4—10 კლასებში დასაშვებია რუსულ ენასა და ლიტერატურაში ზეპირი და წერითი გამოცდები ჩატარდეს ერთ დღეს.

გ) თითოეული წერითი გამოცდისათვის განკუთვნილია: მე-4 კლასებში ერთი საათი, მე-5—7 კლასებში — არა უმეტეს ორი საათისა, მე-8—10 კლასებში — არა უმეტეს 3 საათისა.

დ) ზეპირი გამოცდისას მე-4 კლასებისათვის განკუთვნილია არა უმეტეს ოთხი აკადემიური საათისა კლასზე, მე-6 — 7 კლასისათვის —არა არაუმეტეს ხუთი აკადემიური საათისა, მე-8—-10 კლასებში—არაუმეტეს ექვსი აკადემიური საათისა.

ე) დასვენება ტარდება თითოეული აკადემიური საათის შემდეგ, მხოლოდ ზეპირი გამოცდების დროს.

**შენიშვნა:** გამოცდა ერთ საგანში (ზეპირი და წერა) კლასში უნდა დამთავრდეს ერთ დღეს. იმ შემთხვევაში, თუ კლასი მრავალრიცხოვანია, ზეპირი გამოცდისას შეიძლება გაიყოს ორად (კლასის ერთი ნახევარი გამოცდებს აბარებს დილის 8 საათიდან, ხოლო მეორე — დღის თორმეტი საათიდან).

§ 19. შემოწმებითი გამოცდები ტარდება მოცემული კლასის ყველა მოსწავლეთა, ან ნაწილის (როცა კლასი ორ ნაწილად არის გაყოფილი) თანდასწრებით. მოსწავლე, რომელმაც გაიარა გამოცდა, უნდა გავიდეს კლასიდან. წერითი გამოცდის დროს მოსწავლემ, რომელმაც შეასრულა წერითი სამუშაო და ჩააბარა მასწავლებელს, ვალდებულია დატოვოს საკლასო ოთახი.

§ 20. გამოცდას სასწავლო საგანში ატარებს ის მასწავლებელი, რომელიც ამ საგანს ასწავლის; გამოცდაზე, როგორც ასისტენტი სკოლის დირექტორის დანიშვნით, ესწრება ამავე სკოლის საგამოცდო ან მისი მონათესავე საგნის ერთ-ერთი მასწავლებელი. ასისტენტებს უფლე-

ბა აქვს მოსწავლეს მისცეს შეკითხვები და შეაფასოს ის. მასწავლებელმა მოსწავლის საგამოცდო ნიშნის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიიღოს ასისტენტის შეფასება (ნიშანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2. გამოცდების ჩატარების წესი მე-10 კლასებში

§ 21. გამოსაშვებ გამოცდებს მე-10 კლასებში ატარებს კომისია, სკოლის დირექტორის ან სასწავლო ნაწილის გამგის თავმჯდომარეობით და საგამოცდო საგნის მასწავლებლის, ასისტენტისა და შესაბამისი განათლების განყოფილების წარმომადგენლის მონაწილეობით.

შენიშვნა: ა) განათლების განყოფილებათა წარმომადგენლებად (სადაც ეს შესაძლებელია) მოწვეულ უნდა იქნან უნივერსიტეტის, პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების პროფესორები და დოცენტები, პედსასწავლებლის მასწავლებლები და სასკოლო ინსპექტორები.

ბ) სკოლის დირექტორი ვალდებულია გამოცდების დაწყებამდე ეს ინსტრუქცია გააცნოს კომისიის წევრებს.

## 3. მოსწავლეთა გადაყვანისა და გამოშვების პირობები

§ 22. მოსწავლეთა გადაყვანა შემდეგ კლასებში, ან მათი სკოლიდან გამოშვება, შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ მოსწავლის წარმატება ყველა ძირითად სასწავლო დისციპლინაში შეფასებულია ნიშნით არანაკლებ „3".

შენიშვნა: „3"-ზე დაბალი შეფასება (ნიშანი) ხატვასა და სიმღერაში ვერ შეაფერხებს მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანას.

§ 23. დასკვნითი შეფასება (ნიშანი) ცალკეულ საგამოცდო საგანში განისაზღვრება მოსწავლის მიერ გამოცდებზე მიღებული შეფასების (ნიშნის) საფუძველზე, ამავე საფუძველზე სკოლის პედაგოგიური საბჭო წყვეტს საკითხს მოსწავლის შემდეგ კლასში გადაყვანისა ან მის მიერ სკოლის დამთავრების შესახებ.

§ 24. მოსწავლე, რომელიც საგაზაფხულო გამოცდის შედეგად სამზე მეტ „2" ან „1" შეფასებას (ნიშანს) მიიღებს, დატოვებული იქნება ამავე კლასში.

შენიშვნა: იმ მოსწავლეებს, რომელთაც საგაზაფხულო გამოცდების შემდეგ ცუდი შეფასება ექნებათ მხოლოდ წერაში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და აგრეთვე რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში), 4—10 კლასებში, ეძლევათ საშემოდგომო გამოცდები.

§ 25. სასწავლო წლის დამთავრებისას მოსწავლეს ეძლევა: ა) მოწმობა — დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შე-

სახებ; ბ) ატესტატი — საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ; ხოლო მეათე კლასების ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც ყველა ძირითად საგანსა და ყოფაქცევაში აქვთ შეფასება (ნიშანი) „5", დამოუკიდებლად შეფასებისა (ნიშნისა) ხატვასა და სიმღერაში ეძლევათ განსაკუთრებული ატესტატი აღნიშვნით, რომ მათ ენიჭებათ უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ შესვლის უფლება.

§ 26. ა) X კლასების სწავლაში წარჩინებულ მოსწავლეთა საგამოცდო წერითი ნამუშევრები მშობლიურ ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში, ამ საგნების მასწავლებლების მიერ გასწორების შემდეგ განათლების განყოფილებათა სპეციალური წარმომადგენლის საშუალებით 28 მაისიდან — 5 ივნისამდე აბარებს — აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ში — სათანადო ასსრ-ს განსახკომში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში — ოლქის განათლების განყოფილებაში, ქ. თბილისში — ქ. თბილისის განათლების განყოფილებაში, ხოლო საქართველოს სსრ დანარჩენი რაიონებისა — საქართველოს სსრ-ს განსახკომში.

ბ) განსაკუთრებული ატესტატი, უმაღლეს სკოლაში უგამოცდოდ შესვლის უფლებით, მხოლოდ იმ მოსწავლეებს მიეცემათ, რომელთა საგამოცდო წერითი ნამუშევრები მშობლიურ ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში ამ პარაგრაფის „ა" მუხლით დადგენილი წესის მიხედვით, სათანადო განსახკომებისა და განათლების განყოფილებათა რეცენზირების შემდეგ შეფასებული იქნება „5"-ზე.

გ. განსაკუთრებული ატესტატის ყალბად გაცემის შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება პერსონალურად სკოლის დირექტორს.

**შენიშვნა:** კურსდამთავრებულთა მოწმობა-ატესტატების მიღების, შენახვისა და გაცემის საქმეში სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ განსახკომის მიერ სამისოდ შედგენილი ინსტრუქციით.

§ 27. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის იმ მოსწავლეებს, რომელთაც ეძლევა საშემოდგომო გამოცდა და სხვადასხვა მიზეზის გამო გადადიან სხვა სკოლაში, სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ მიეცემათ სათანადო ცნობა.

## 4. საშემოდგომო შემოწმებითი გამოცდების ჩატარების წესი

§ 27. საშემოდგომო შემოწმებითი გამოცდები საქართველოს სსრ ყველა სკოლაში, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული მტკიცე ცხრილის მიხედვით, ტარდება 27-დან 29 აგვისტომდე, ჩათვლით. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომო გამოცდების ცხრილი მოსწავლეებს უნდა გამოეცხადოს გაზაფხულო არდადეგების დაწყებისას.

§ 28. მოსწავლეები (1—10 კლ.), რომლებიც საშემოდგომო გამოცდებზე მიიღებენ საბოლოო შეფასებას (ნიშანს) „2“ ან „1“, თუნდაც ერთ რომელიმე ძირითად საგანში, ან ვერ შეასრულებენ დავალებას, დატოვებულ იქნებიან იმავე კლასში.

მოსწავლეთა პირობით გადაყვანა დაუშვებელია.

§ 29 საშემოდგომო შემოწმებითი გამოცდებისათვის წერითი სამუშაოს ტექსტს, თემებს თხზულებისათვის, ამოცანებსა და მაგალითებს ადგენს საგნის მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

ზეპირი გამოცდები ტარდება საგაზაფხულო შემოწმებითი გამოცდების დროს შედგენილი ბილეთების მიხედვით.

§ 30. პედსაბჭოს დადგენილება იმ მოსწავლის შესახებ, რომელიც დატოვებული იქნა იმავე კლასში, ან მიეცა განმეორებითი საშემოდგომო გამოცდა, სკოლის დირექტორის მიერ დაუყოვნებლივ ეცნობება მოსწავლის მშობლებს.

## 5. გამოცდების შესახებ საქართველოს სსრ არაქართულ სკოლებში

§ 32. ეს ინსტრუქცია ვრცელდება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ ყველა არაქართულ სკოლაზე.

§ 33. წერითი საგამოცდო სამუშაო რუსულ და სომხურ სკოლებში, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში უნდა შედგებოდეს: მე-4, 5, 6 და მე-7 კლასებში კარნახისაგან. ხოლო მე-8, 9 და მე-10 კლასებში (ლიტერატურაში) — თხზულებისაგან, ლიტერატურულ თემაზე, წლის განმავლობაში გავლილი საპროგრამო მასალის ფარგლებში.

§ 34. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ რუსულ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის ნაცვლად იგულისხმება ქართული ენა და ლიტერატურა (იხ. § 6).

§ 35. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ სკოლებში საგამოცდო საგნებს ემატება გამოცდა ქართულ ენაში მე-4, 5, 6, 8 და მე-9 კლასებში ზეპირი და მე-7 კლასებში წერასა და ზეპირში (წერითი საგამოცდო სამუშაო — პატარა მოთხრობის შინაარსის გადმოცემა), ხოლო მე-10 კლასში წერაში — წერითი საგამოცდო სამუშაო — გავლილი მოთხრობის შინაარსის გადმოცემა.

## ნ. გამოცდების შესახებ ანგარიშის ჩაბარების წესი

§ 36. მოსწავლეთა მიერ საგაზაფხულო გამოცდებზე შესრულებული ყველა წერითი ნამუშევარი აუცილებლად ინახება სკოლაში და მოთხოვნისას, სკოლის დირექტორის მიერ წარედგინება სასკოლო ინსპექტორს, მოსწავლეთა გამოცდების ჩატარების სისწორის შემოწმების მიზნით.

§ 37. თითოეული მასწავლებელი, რომელიც გამოცდას ატარებდა, გამოცდის დამთავრების დღეს სკოლის დირექტორს აბარებს წესიერად შევსებულ გამოცდის ოქმს, თითოეული მოსწავლის ნიშნის შეტანით, რომელსაც ხელს აწერენ საგნის მასწავლებელი და ასისტენტი (იხ. თანდართული ოქმის ფორმა).

§ 38. შემოწმებითი და გამოსაშვები გამოცდების საერთო შედეგები განიხილება სკოლის პედსაბჭოს დასკვნით სხდომაზე.

§ 39. 11 ივნისიდან 15 ივნისამდე ყველა სკოლა აჯამებს წლის განმავლობაში ჩატარებულ მუშაობას და ანგარიშს უდგენს განათლების განყოფილებას.

§ 40. განათლების ადგილობრივ ორგანოებს ეკრძალებათ რაიმე სახის ინსტრუქციის გამოცემა შემოწმებითი გამოცდების ჩატარებისა და ორგანიზაციის შესახებ.

აგრეთვე კატეგორიულად არის აკრძალული სკოლის დირექტორებისაგან (გამგეთაგან) რაიმე სტატისტიკური ცნობების მოთხოვნა გამოცდების შედეგების შესახებ.

**დანართი:** გამოცდის ოქმის ფორმა.

**საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი**

**და საშუალო სკოლის სამმართველოს**

**უფროსი შ. ოზოლაძე**

**საპოლიტგანმანათლებლო სამმართველოს**

**უფროსი ა. გაბისონია.**

ვამტკიცებ
სკოლის დირექტორი (ხელმ.)
1944 წ. „ “ . . . . .

# ოქმი

________ რაიონის (ქალაქი) ________ სკოლის კლასში ________ გამოცდისა.

მასწავლებლის გვარი, სახელი, მამის სახელი ________

(მე-10 კლასისათვის—კომისიის წევრების გვარები).

| №№ | მოსწავლეთა გვარი და სახელი | შეფასების ნიშანი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| | | | |

1. მასწავლებელი ________

2. ასისტენტი ________

(მე-10 კლასისათვის—კომისიის წევრები).

1944 წ. „____“ ________

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ
განათლების სახალხო კომისარის
მოადგილე მ. ბურჭულაძე
1944 წლის 19 მარტი.

# საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის

# ინსტრუქცია

## კურსდამთავრებულთა მოწმობა-ატესტატების, გადასაყვანი მოწმობებისა და ქების სიგელების დაბეჭდვის, შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების შესახებ

სსრკ სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 3 სექტემბრის დადგენილებისა და კურსდამთავრებულთა მოწმობა-ატესტატების დაბეჭდვის, შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების წესის შესახებ საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების დადგენილების განსახორციელებლად შემოღებულია შემდეგი სავალდებულო წესები:

§ I. საქართველოს სსრ განსახკომის სისტემაში შემავალი სკოლესათვის დაწესებულია შემდეგი სახის მოწმობები, ატესტატები და ქების სიგელები:

1. დაწყებით სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა.

2. არასრული საშუალო და საშუალო სკოლის პირველი ოთხი კლასის დამთავრების მოწმობა.

3. არასრული საშუალო სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა.

4. საშუალო სკოლის პირველი შვიდი კლასის დამთავრების მოწმობა.

5. საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი (ჩვეულებრივი).

6. საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი — სწავლაში წარჩინებულთათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. პედსასწავლებლის სასკოლო განყოფილების კურსის დამთავრების ატესტატი (ჩვეულებრივი).

8. პედსასწავლებლის სასკოლო განყოფილების კურსის დამთავრების ატესტატი—სწავლაში წარჩინებულთათვის.

9. პედსასწავლებლის სკოლამდელი განყოფილების კურსის დამთავრების ატესტატი (ჩვეულებრივი).

10. პედსასწავლებლის სკოლამდელი განყოფილების კურსის დამთავრების ატესტატი — სწავლაში წარჩინებულთათვის.

11. პედსასწავლებელთან არსებული პოლიტსაგანმანათლებლო განყოფილების კურსის დამთავრების ატესტატი (ჩვეულებრივი).

12. პედსასწავლებელთან არსებული პოლიტსაგანმანათლებლო განყოფილების კურსის დამთავრების ატესტატი — სწავლაში წარჩინებულთათვის.

13. არასრული საშუალო სკოლის კურსის ექსტერნად დამთავრების მოწმობა.

14. საშუალო სკოლის კურსის ექსტერნად დამთავრების ატესტატი (ჩვეულებრივი).

15. საშუალო სკოლის კურსის ექსტერნად დამთავრების ატესტატი — სწავლაში წარჩინებულთათვის.

16. პედსასწავლებლის კურსის ექსტერნად დამთავრების ატესტატი.

17. 1943 წლამდე საშუალო სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა.

18. 1943 წლამდე პედსასწავლებლის კურსის დამთავრების მოწმობა.

19. 1943 წლამდე მოზრდილთა საშუალო სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა.

შენიშვნა: 1941, 1942 და 1943 წლებში საშუალო სკოლის, პედაგოგიური სასწავლებლის და მოზრდილთა საშუალო სკოლის იმ კურსდამთავრებულებს, რომლებსაც ჰქონდათ საშუალო სკოლის ან პედაგოგიური სასწავლებლის, ანდა მოზრდილთა საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი სწავლაში წარჩინებულთათვის, სათანადო სკოლების მიერ ეძლევათ ცნობა, რომელშიაც აღნიშნული იქნება ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასება (ნიშანი). ცნობა დაერთვის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მოწმობას.

20. მოზარდთა არასრული საშუალო სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

21. მოზარდთა საშუალო სკოლის პირველი შვიდი კლასის დამთავრების მოწმობა.

22. მოზარდთა საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი (ჩვეულებრივი).

23. მოზარდთა საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი— სწავლაში წარჩინებულთათვის.

24. მოზრდილთა არასრული საშუალო სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა.

25. მოზრდილთა საშუალო სკოლის პირველი შვიდი კლასის დამთავრების მოწმობა.

26. მოზრდილთა საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი (ჩვეულებრივი).,

27. მოზრდილთა საშუალო სკოლის კურსის დამთვრების ატესტატი სწავლაში წარჩინებულთათვის.

28. პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსის დამთავრების ატესტატი (ჩვეულებრივი).

29. პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსის დამთავრების ატესტატი — სწავლაში წარჩინებულთათვის.

30. პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსის ექსტერნად დამთავრების ატესტატი (ჩვეულებრივი).

31. პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსის ექსტერნად დამთავრების ატესტატი — სწავლაში წარჩინებულთათვის.

32. აზერბაიჯანულ დასწრებული პედსასწავლებლის კურსის დამთავრების ატესტატი.

33. მოსწავლეთა ქების სიგელი.

§ II. საქართველოს სსრ განსახკომის სისტემაში შემავალი ყველა ტიპისა და ეროვნების სკოლისათვის მოწმობა-ატესტატები და ქების სიგელები დაბეჭდილია ორ ენაზე: ქართულსა და რუსულზე—ერთ გვერდზე ქართულად და მეორეზე რუსულად.

§ III. მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების დედნებისა და ასლების ბეჭდვა მთავრდება ყოველი წლის ათ მაისამდე.

მოწმობა-ატესტატების ბლანკების დაკარგვა-გატაცების თავიდან ასაცილებლად, განსახკომში სპეციალური პირების გამოყოფით სისტემატური კონტროლი ეწევა მოწმობა-ატესტატების ბეჭდვის, დაბეჭდილი ბლანკების შესაფერისად დაცულ ბინაში შენახვისა და მათი მიღება-გაცემის საქმეში მტკიცე ანგარიშგების დაყენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ IV. მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების გაცემა განათლების სახალხო კომისარიატიდან წარმოებს შემდეგი წესით:

1. განსახკომიდან მოწმობებს, ატესტატებსა და ქების სიგელებს განსახკომის სისტემაში შემავალი ყველა ტიპის სკოლისათვის ღებულობენ მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისრები და საოლქო, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეები პირადად, ან სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი პირების საშუალებით.

მოწმობა-ატესტატების, ან ქების სიგელების გაცემა ცალკეულ სკოლებსა ან ცალკე პირებზე აკრძალულია.

2. მოწმობა-ატესტატების მისაღებად ავტონომიური სს რესპუბლიკის განსახკომები და ავტონომიური ოლქისა და საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეები შემოწმებითი გამოცდების დაწყებამდე ერთი თვით ადრე განსახკომის შესაბამ სამმართველოში ადგენენ დაზუსტებულ მოთხოვნილებას სკოლების ცალკეული ტიპების მიხედვით.

3. მოწმობა-ატესტატებზე მოთხოვნილებათა წარმოდგენა შემდეგი ფორმის მიხედვით სწარმოებს:

| №№ რიგ. | მოწმობა—ატესტატების დასახელება | მოსწავლეთა რაოდენობა კურსის დასამთავრებელ კლასში (სასწავლო წლის უკანასკნელი მეოთხედის დასაწყისში ფაქტიურად არსებული კონტიგენტის მიხედვით) | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| | | | |

§ V. განათლების განყოფილებანი კურსდამთავრებულთა მოწმობებისა და ქების სიგელების ბლანკების სკოლებზე გაცემას აწარმოებენ შემდეგი წესით:

1. სკოლებზე ბლანკების გაცემა უნდა მოხდეს მას შემდეგ, როცა სკოლის დირექტორი დაადასტურებს სასწავლო წლის ბოლოს მოწვეულ პედსაბჭოს დასკვნითი ხდომის გადაწყვეტილებას მოსწავლეთა მიერ სკოლის ამა თუ იმ საფეხურის კურსის დამთავრების შესახებ და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლების განყოფილებას წარუდგენს კურსდამთავრებულთა დამოწმებულ სახელობით სიებს.

2. საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატების შეუვსებელი ბლანკები სკოლებს არ ეძლევათ. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს, რომლებსაც უნდა მიეცეთ როგორც ჩვეულებრივი, ისე სწავლაში წარჩინებულთა ატესტატი, თითოეული სკოლის დირექტორი, გარდა სახელობითი სიებისა, განათლების განყოფილებას წარუდგენს ატესტატის მიმღებ კურსდამთავრებულთა ოთხივე მეოთხედის, გამოსაშვები გამოცდებისა და დასკვნითი შეფასების ნიშნებს ყველა ძირითად დისციპლინებში.

სიას თან უნდა ჰქონდეს დართული შემდეგი ცნობები, — „ამ სიაში შეტანილია სულ . . . . კურსდამთვრებული, გასაცემია . . . ატესტატი, მათგან . . . . ჩვეულებრივი და . . . . სწავლაში წარჩინებულთა (რიცხვი უნდა ჩაიწეროს, როგორც არაბული ციფრით, ასევე სიტყვებით), სკოლის დირექტორი (ხელისმოწერა), სასწავლო ნაწილის გამგე (ხელისმოწერა), მასწავლებლები (ხელს აწერს გამოსაშვები—მე-10 კლასის ყველა მასწავლებელი)“. სია შემოწმებული უნდა იქნეს სკოლის მრგვალი ბეჭდით და დაეწეროს თარიღი. ამ სიებისა და ცნობების შემოწმებული ასლები რჩება აგრეთვე სკოლაშიაც.

3. საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატების შევსებას აწარმოებს განათლების განყოფილება სპეციალურად მოწვეული კალიგრაფიული ხელის მქონე პირის საშუალებით. ატესტატის ორივე მხარე (ქართული და რუსული( უნდა შეივსოს სუფთად, გარკვეული ხელით, გრამატიკული შეცდომების დაუშვებლად, ტუშით ან მუქი ფერის კარგი ხარისხის მელნით. განათლების განყოფილებაში შევსებული ატესტატების გაცემას აწარმოებს სკოლა. დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე და მასწავლებლები სრულად და გარკვევით უნდა აწერდნენ ხელს ატესტატს. ატესტატზე სკოლის მრგვალი ბეჭედი იმგვარად უნდა იყოს დასმული, რომ ბეჭდის მთელი ზედწარწერის ამოკითხვა თავისუფლად იყოს შესაძლებელი.

4. განათლების განყოფილებათა მიერ შევსებული ატესტატები უნდა გატარდეს შემდეგი სახის წიგნში ცალკე სკოლების მიხედვით:

შევსებული ატესტატების გასატარებელი წიგნი . . . . რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| №№ რიგისა; იგივე № ატესტატისა-თვის | იმ მოსწავლის გვარი, სახელი და მამის სახელი, რომელზედაც შეივსო ატესტატი. | გაცემული ატესტატის დასახელება | დამთავრების წელი | შევსებული ატესტატების მიღებაზე სკოლის დირექტორის ხელის მოწერა | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

5. ატესტატების შევსებისას სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში განათლების განყოფილებათა გამგეებს ევალებათ საქმე სასწრაფოდ გადასცენ პროკურატურის ორგანოებს და ამის შესახებ აცნობონ აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს.

6. ატესტატის ბლანკის შევსების დროს ან სხვა მიზეზით გაფუჭების შემთხვევაში, განათლების განყოფილებაში უნდა შედგეს სათანადო აქტი და განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოდან სამაგიერო ბლანკის მისაღებად წარდგენილ შუამდგომლობასთან ერთად დართულ იქნეს როგორც გაფუჭებული ბლანკი, ისე საამისოდ შედგენილი აქტიც.

7. სკოლის დირექტორები (გამგეები) და განათლების განყოფილებანი დაწყებითი სკოლის კურსის დამთავრებისა და არასრული საშუალო და საშუალო სკოლის პირველი ოთხი კლასის დამთავრების მოწმობის გაცემას აწარმოებენ 10 ივნისისათვის, ხოლო არასრული საშუალო სკოლის კურსის, საშუალო სკოლის პირველი შვიდი კლასისა და საშუალო სკოლის კურსის დამთავრების მოწმობებისა და ატესტატების გაცემას 20—25 ივნისისათვის.

8. იმ მოსწავლეებს, რომელთაც საშემოდგომო განმეორებითი გამოცდები ექნებათ დანიშნული, მოწმობა-ატესტატები მიეცემათ არა უგვიანეს 31 აგვისტოსა.

9. დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლის კურსის დამთავრების მოწმობის ბლანკების გაცემის სარეგისტრაციოდ თითოეულ განათლების განყოფილებაში უნდა იქნეს შემოღებული შემდეგი სახის წიგნი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| №№ რიგ. | სკოლის სრული სახელწოდება. | გაცემული მოწმობის დასახელება. | გაცემული მოწმობის რაოდენობა (სიტყვებით). | მიმღების ვინაობა | მიმღების ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

სარეგისტრაციო წიგნი უნდა იქნეს ზონარგაყრილი, დალუქული და ატესტატების ბლანკებთან ერთად საიმედო ადგილას შენახული.

10. არასრული საშუალო სკოლის ექსტერნად კურსდამთავრებულთათვის, პედსასწავლებლის ექსტერნად კურსდამთავრებულთათვის 1943 წლამდე, პედსასწავლებლებისა და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის მოწმობების შევსება, დამოწმება და გაცემა იწარმოებს რაიონის განთლების განყოფილებაში სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე.

**შენიშვნა:** 1. პედსასწავლებლის კურსის ექსტერნად ჩაბარების უფლება ეძლევა მხოლოდ დაწყებითი სკოლების იმ მასწავლებლებს, რომელთაც საამისოდ სპეციალური ნებართვა აქვთ მიცემული საქართველოს სსრ განსახკომის მიერ.

11. საშუალო სკოლის ექსტერნად კურსდამთავრებულთათვის პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის, აზერბაიჯანული დაუსწრებელი პედსასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის ატესტატების შევსება, დამოწმება და გაცემა იწარმოებს უშუალოდ საქართველოს სსრ განსახკომში, ავტონომიურ სს რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში კი—შესაბამის განსახკომებსა და განათლების განყოფილებაში (სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქისათვის) სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტის საფუძველზე.

§ VI მოწმობა-ატესტატების გაცემა სკოლების მიერ შემდეგი წესით სწარმოებს:

1. თითეულ სკოლაში კურსდამთავრებულთათვის სათანადო მოწმობა-ატესტატების გაცემა სწარმოებს სკოლის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით და დირექტორის (გამგის) პირადი პასუხისმგებლობით.

თითოეული მოწმობა, ისე, როგორც ატესტატი, სწორად და გარკვეული ხელით ივსება ორივე მხარეზე (როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე). მოწმობა-ატესტატი უნდა ჩაბარდეს, როგორც წესი, კურსდამ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავრებულს პირადად, გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება იგი მიეცეს კურსდამთავრებულის მშობლებს.

2. თითოეულ კურსდამთავრებულზე გასაცემი მოწმობა-ატესტატის დედანთან ერთად შევსებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს მათი ასლები. ასლები შენახულ უნდა იქნეს კურსდამთავრებულის პირად საქმესთან ერთად სკოლის არქივში.

3. მოსწავლეებს, რომლებმაც 1943 წლამდე (ჩათვლით) დაამთავრეს სხვადასხვა ტიპის საშუალო სკოლა და დაკარგეს საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი, სათანადოდ გაფორმებული ცნობის საფუძველზე მიეცემათ საშუალო სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა.

მოწმობის გაცემა შემდეგი წესით უნდა მოხდეს:

მოწმობის ან ატესტატის დაკარგვის შემთხვევაში კურსდამთავრებული უდგენს სკოლის დირექტორს მოწმობის ან ატესტატის დაკარგვის დამადასტურებელ საბუთს, რაც დირექტორის მიერ კურსდამთავრებულის საშუალო სკოლის კურსის დამთავრების დამადასტურებელ საბუთთან ერთად წარედგინება განათლების განყოფილებას. განათლების განყოფილება ამოწმებს ამ საბუთებს და სპეციალური პირის მივლინებით და სათანადო მინდობილობით გამოითხოვს ბლანკს განსახკომიდან, რომლის შევსებას და გაცემას აწარმოებს განათლების განყოფილება სკოლის არქივში დაცული მოწმობის ან ატესტატის ასლის მიხედვით.

4. კურსდამთავრებულთათვის გაცემული მოწმობა-ატესტატების აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგების მიზნით თითოეულ სკოლაში შემოღებულ უნდა იქნეს შემდეგი ფორმის წიგნები:

1. დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლის კურსის დამთავრების სარეგისტრაციო წიგნი . . . . სკოლა.

| №№ რიგისა, იგივე № მოწმობისათვის | კურსდამთავრებულის გვარი და სახელი, მამის სახელი | გაცემული დოკუმენტების დასახელება | დოკუმენტების გაცემის წელი, თვე და რიცხვი | მიმღების ხელის მოწერა. | შენიშვნა: |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 2. ატესტატების გაცემის სარეგისტრაციო წიგნი . . . . . .

საშუალო სკოლა

| №№ რიგისა იგივე № ატესტატი-სათვის. | კურსდამთავრებუ-ლის გვარი, სახელი და მამის სახელი | გაცემული დოკუმენტის დასახელება | დოკუმენტის გაცემის წელი, თვე და რიცხვი | მიმღების ხელის მო-წერა· | შენიშვნა: |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |

5. მოწმობის ბლანკის შევსების დროს ან სხვა მიზეზით გაფუჭების შემთხვევაში სკოლაში უნდა შედგეს სათანადო აქტი და განათლების განყოფილებიდან სამაგიერო ბლანკის მისაღებად წარმოდგენილ შუამდგომლობასთან ერთად დართულ იქნეს როგორც გაფუჭებული ბლანკი, ისე სამისოდ შედგენილი აქტიც.

6. პედაგოგიური სასწავლებლის, მოზრდილთა და მოზრდილთა არასრული საშუალო და საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთათვის მოწმობა-ატესტატების გაცემას და გაცემული ატესტატების აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის დაცულ უნდა იქნეს ყველა ის წესი, რაც საშუალო სკოლებისათვისაა მიღებული.

§ VII. ქების სიგელები მიეცემათ პედაგოგიური საბჭოების დადგენილებით დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის I, II, III, IV, V, VI, VII, VIII და IX კლასების იმ მოსწავლეებს, რომლებიც ყველა ძირითად სასწავლო დისციპლინაში და ყოფაქცევაში მიიღებენ საბოლოო შეფასებას (ნიშანს) 5-ს დამოუკიდებლად შეფასებისა—ხატვასა, სიმღერასა და ფიზკულტურაში.

აღნიშნულ მოსწავლეთათვის ქების სიგელების მიღებას, შევსებასა და გაცემას სკოლა აწარმოებს იმგვარი წესით, როგორც მოწმობებზეა დადგენილი, იმ განსხვავებით, რომ ქების სიგელების ასლების ნაცვლად მოსწავლის პირად საქმეში აღინიშნება ცნობა მისი ქების სიგელით დაჯილდოების შესახებ.

§ VIII. კლასიდან კლასში გადასაყვანი მოწმობები გაიცემა შემდეგი წესით: დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის I, II, III, V, VI, VIII და IX კლასის მოსწავლეებს სათანადო კლასებში შემოწმებითი გამოცდების დამთავრებიდან სამი დღის ვადაში, ხელზე მიე-

ცემით აკადემიური წარმატებისა და კლასიდან კლასში გადაყვანის მოწმობა, რომელშიაც კლასის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით დადასტურებული იქნება პედსაბჭოს დადგენილება მოსწავლის შემოდგომ კლასში გადაყვანისა, იმავე კლასში დატოვებისა, ან მისთვის საშემოდგომო განმეორებითი გამოცდების მიცემის შესახებ.

§ IX. მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების მიღება-გაცემის ანგარიშგება შემდეგი სახით წესრიგდება:

1. თითოეული სკოლა 25 ივნისამდე უდგენს განათლების განყოფილებას ცნობებს იმის შესახებ, თუ მიღებული მოწმობისა და ქების სიგელის ბლანკებიდან რამდენი გასცა დანიშნულებისამებრ და რამდენი არ იქნა გამოყენებული სხვადასხვა მიზეზით (მოსწავლის გარდაცვალების, ავადმყოფობის, მოსწავლისა და მშობლების სხვაგან გადასვლისა და სხვა შემთხვევათა გამო).

2. განათლების განყოფილება სკოლებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე I-ლ ივლისამდე უდგენს განსახკომის შესაბამ სამმართველოს წერილობით ცნობებს მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების, ცალკე სახეების მიხედვით, გაცემული რაოდენობის შესახებ.

3. მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების მიღება-გაცემის შესახებ საბოლოო ანგარიშებს განათლების განყოფილებანი ადგენენ 5 სექტემბრისათვის და ყველა გამოუყენებელი და გაფუჭებული მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების ბლანკებთან ერთად სათანადოდ გაფორმებული აქტებითურთ აბარებენ განსახკომის შესაბამ სამმართველოს უფროსს.

4. მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების ბლანკების მიღების, შესაფერ რკინის ყუთებში შენახვისა და გაცემის შესახებ ზემოაღნიშნული ინსტრუქციის გატარების საქმეში პასუხისმგებლობა ეკისრება განსახკომის სათანადო სამმართველოს უფროსს, ავტონომიური სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრებს, საოლქო, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებს და სკოლის დირექ-

ტორებს (გამგეებს). ამათვე ევალებათ ამ დადგენილების დარღვევისა ან მოწმობა-ატესტატის ბლანკის დაკარგვა-გატაცების შემთხვევაში კონკრეტულად დამნაშავე პირების წინააღმდეგ დაუყონებლივი ზომების მიღება და მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაცემა.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1944 წლის 18 მარტის დადგენილება.

დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს
უფროსი **უშ. ობოლაძე**

პოლიტსაგანმანათლებლო სამმართველოს
უფროსი **ა. გაბისონია**